№ 06/9-029/590 D 05.08.2019

ბატონ კახაბერ კამკამიძეს
მისამართი: შავიშვილის ქ. N1
ტელეფონი: 557 70 38 21

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN19-0289489; თარიღი 29/07/2019წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო ნუცუბიძის ქუჩა 4 მ/რ-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:
ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)

1) საპროექტო ნაკვეთის ფართობი 4497კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო ფონდის მიწის ნაკვეთი

გეგმა

ნაკვეთის საზღვრის ცვლილება არ ხდება

ნაკვეთზე განთავსებული ობიექტები



ფორმატი A-3 | თბილისი 2019წ. | დაკვეთა № | ფაილის სახელი

შენობა ნაგებობის შუნძცია:

მარცვალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო გენ.გეგმა
მ. 1:500

ტექ მაჩვენებლები

- სადარბაზოში შესასვლელი
- ტერიტორიაზე შესასვლელი

პირობითი ნიშნები:

- ნაკვეთის საზღვარი
- ჭრილის ხაზი
- არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ფენიქსი"

მისამართი:
ქ. თბილისი, ქუჩა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV
საკ. კოდი: (01.14.01.001.145)

თარიღი	20/05/2019წ.
კორექტირება	

№		თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ორგანიზაცია

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ბ. ბენდელიანი	
არქიტექტორი	ბ. ბენდელიანი	
არქიტექტორი	ქ. კამკამიძე	
არქიტექტორი	რ. ბაკურაძე	

საპროექტო ლოგო | მისამართი

BIJI ARCHITECTURE

ქ. თბილისი ო. ლორთქიფანიძის 2ფ ოფისი №1
TEL: 595 55-35-74
599 75-28-88

მასშტაბი	მ 1:200	
თარიღი	20.05.2019წ.	
სტადია	ფორმატი	ფურცელი
პროექტი	A-3	A-009

შპს "ჯორჯია უოთერ ენდ ფაუერი"
ვაკე-საბურთალოს ბრანჩის ცენტრი
ხელმძღვანელი _____
რეგ. № _____ "1" დეკემბერი 2019წ.
საქმიანობის დაწყების წესს გამომართებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

ყაზტრანსგაზ თბილისი
KazTransGas TBILISI

საქართველო, თბილისი, 0160; მიცკევიჩის ქ. №18ა;ტელ/ფაქსი: (+995 32) 37 64 93; ელ.ფოსტა: public@ktg-tbilisi.ge ვებ გვერდი: www.ktg.tbilisi.ge
18a Mitskevich Street, 0160, Tbilisi, Georgia; Tel/Fax: (+995 32) 37 64 93; E-mail: public@ktg-tbilisi.ge Website: www.ktg.tbilisi.ge

№ 04-04-04-01/1978 „03“ 07 2019 წ

შპს „ფენიქსის“ დირექტორს
ბატონ ვახტანგ გამრეკელს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი მიმდინარე წლის 20 ივნისის №01-01-49420-19 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ნუცუბიძის 4 მ/რ-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე (საკ. კოდი №01.14.01.001.145) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს გაცნობებთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ განახორციელოთ დაგეგმილი მშენებლობა, თუ გაზსადენთან მიმართებაში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ: მშენებლობის შედეგად არ უნდა შეიზღუდოს მილსადენის გეგმიური დათვალიერების პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა, ხოლო სამუშაოების წარმოებისას არ უნდა მოხდეს გაზსადენის დაზიანება.

გაზსადენის გადალაგების საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია განხორციელდეს წინასწარი კვლევა და შემუშავდეს საინჟინრო-ტექნიკური პროექტი, რომლის მიხედვითაც დადგინდება რამდენად შესაძლებელია ზემოთხსენებული მილსადენის მარშრუტის ცვლილება.

იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურად შესაძლებელი იქნება მილსადენის გადაადგილება, დაინტერესებული მხარის მიერ დაკვეთის, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან შესაბამისი ნებართვების მოპოვების და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო თანხების სრულად ანაზღაურების შემთხვევაში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მზად არის განახორციელოს გაზსადენის გადატანის სამუშაოები.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 16-01192172025
თარიღი: 05/08/2019
პინი: 5655

ადრესატი: შპს ფენიქსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404852931
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის, ქუჩა N 193, ბინა N 6

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

შპს „ფენიქსი"-ს წარმომადგენელს

კახაბერ კამკამიძეს

ბატონო კახაბერ,

2019 წლის 29 ივლისის თქვენი N10/01192102218-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.01.001.145) საბაგიროს შეზღუდვასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირების მოთხოვნას, გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე, დაგეგმილი საბაგიროს პროექტით არ არის დადგენილი შეზღუდვის დეტალური პარამეტრები, თუმცა ვინაიდან დაგეგმილი საბაგიროს მთავარი ხაზი მდებარეობს საკადასტრო საზღვრებს გარეთ და საბაგიროს ხაზის ბუფერი ვრცელდება მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელზეც დაგეგმილი არაა შენობა-ნაგებობის განთავსება, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის მშენებლობის წინააღმდეგი.

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის
მერია
MSDA-031
405026877

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01191572600**
თარიღი: **06/06/2019**
პინი: **1045**

ადრესატი: შპს ფენიქსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404852931
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის, ქუჩა N 193, ბინა N 6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შპს ,,ფენიქსი"-ს არქიტექტორს
ბატონ კახაბერ კამკამაძეს

ბატონო კახაბერ,

შპს ,,თბილსერვის ჯგუფში" ა/წ 3 ივნისს შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპანიის სანიაღვრე სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა შესწავლილი მიწის ნაკვეთი ს.კ 01.14.01.001.145. დადგინდა, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გადის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული სანიაღვრე ქსელი (დ-500 მმ). ამასთანავე გაცნობებთ, რომ მშენებლობის შემთხვევაში ნებისმიერი შენობა-ნაგებობის კედელი სანიაღვრე ქსელიდან (დ-500 მმ) დაცილებული უნდა იყოს არა ნაკლებ 3 მეტრისა.

დამატებით გაცნობებთ, რომ სანიაღვრე სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადგილზე იქნა მითითებული საპროექტო სანიაღვრე ქსელის არსებულ ქსელზე დაერთების წერტილი.

ნოდარ ზარდიაშვილი

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების ექსპლოატაციის სამსახური-სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-0119155753**
თარიღი: **04/06/2019**
პინი: **3640**

ადრესატი: შპს ფენიქსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404852931
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის, ქუჩა N 193, ბინა N 6

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.14.01.001.145) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.170. 01.00.206) არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-მოადგილე - გარე განათების დარგში

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი